ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4532161

ნომერი: AR1673877

თარიღი : 10.04.2019

გაცემის თარიღი : 05.06.2019

გაცნობის თარიღი : 06.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N78;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ თათეშვილი პ/ნ 01024007991
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 65, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 09 იანვარს №3035374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 10 აპრილს №AR1673877 განცხადებით მომართა თეიმურაზ თათეშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის

2017 წლის 09 იანვარს №3035374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 09 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი N78-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.01.004.024), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 09 იანვრიდან 2017 წლის 09 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4314342 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ დადასტურდა ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი, N78-ში (საკ. კოდი N01.12.01.004.024) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 13 აპრილის N№-10/01170412652-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილის 2018 წლის 28 დეკემბრის №№-10/01183553651-17 ბრძანებით ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი N78-ში (ს/კ: №01.12.01.004.024), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი. (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი).

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 09 იანვარს №3035374 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 24590.11 კვ.მ-ის ნაცვლად 24339.62კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2680.39 კვ.მ-ის ნაცვლად 3088.48კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 5751.05 კვ.მ-ის ნაცვლად 5718.17 კვ.მ-ის, განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია საოფისე-კომერციული ფართობის გაერთიანებული მაჩვენებელი 2022.67კვ.მ.

სამსახურის 2019 წლის 01 მაისის №4481999 ბრძანებით დაგევალათ განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, კერძოდ: საჭირო იყო დეტალური განმარტების წარმოდგენა, იმასთან დაკავშირებით თუ რამ გამოიწვია აღნიშნული ფართების ცვლილება, ასევე უნდა წარმოგედგინათ გეგმები ექსპლიკაციების დატანით, ფუნქციების შესაბამისად გეგმები გრაფიკულად მოგენიშნათ სხვადასხვა ფერში და ექსპლიკაციებზეც იგივე ფერით დაგეფიქსირებინათ ჯამური ფართობები.

2019 წლის 10 მაისს თქვენი მოთხოვნის საფუძველზე ხარვეზების შევსების ვადა გაგრძელებულ იქნა 10 დღით.

2019 წლის 10 აპრილის №AR1673877 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ხდება ფართების ფუნქციების ცვლილება 2017 წლის 09 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში და აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 09 იანვარს №3035374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.